



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000003702189219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 17

04 / დეკემბერი / 2019 წ.

დადგენილება

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამის და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 იანვრის N1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09.01.2019, 190020020.35.162.016486) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე (ქულის მინიჭების თარიღიდან გასული უნდა იყოს არაუმეტეს ორი წელი); მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი და არ იღებენ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის იმავე მუხლის 2¹ პუნქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ ფულად დახმარებას), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები;“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N2-ის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

”


1	ელექტროენერჯის გადასახადის			
---	----------------------------	--	--	--

	<p>თანადაფინანსება წელიწადში 100 ლარის ოდენობით შემდეგ პირებზე:</p> <p>1) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 80 000-მდე (ქულის მინიჭების თარიღიდან გასული უნდა იყოს არაუმეტეს ორი წელი);</p> <p>2) მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი და არ იღებენ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 პუნქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის იმავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ყოველთვიურ ფულად დახმარებას;</p> <p>3) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები.</p>	70	100	7 000
--	---	----	-----	-------

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხალხოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად 

თამარ ყვინიშვილი